

## მუზეუმის როლი სოციუმის განვითარებაში

კოვზიაშვილი ნინო

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველთაგანვე მუზეუმის (სიტყვასიტყვით - „მუზეუმის ადგილ-სამყოფელი“) უმთავრეს დანიშნულებად უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შენახვა მიიჩნეოდა, მაგრამ წლების მანძილზე იცვლებოდა მუზეუმის მნიშვნელობა და შესაბამისად, მისი ფუნქციაც, რაც სოციუმის განათლებასთან ერთად, მასთან კომუნიკაციაში მუზეუმის როლის გამძაფრებით გამოიხატა.

ცხადია, მუზეუმი დღესაც წარმოადგენს კულტურის კომპლექსურ დაწესებულებას, რომელიც დაკავებულია მატერიალური კულტურის მემკვიდრეობის დაცვით და მისი მნიშვნელობის განმარტებით. უკანასკნელ პერიოდში კი, თანამედროვე მუზეუმის ექვსი ძირითადი ფუნქციიდან (კოლექციების შევსება, აღწერა, შენახვა/დაცვა, კვლევა, ექსპონირება და ინტერპრეტაცია და საგანმანათლებლო საქმიანობა) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც მიმართულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისაკენ და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მუზეუმის მისიის მიმართულებებს და ტენდენციებს.

თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა დიდსა თუ პატარა ქალაქში არსებობს ათიათასობით სხვადასხვა ტიპის მუზეუმი, რომელთა საქმიანობა და მისია განსხვავებულია, მაგრამ მიუხედავად პროფილისა და იურიდიული დაქვემდებარებისა, მართვის პრინციპებთან ერთად, მათ აერთიანებთ საგანმანათლებლო პროგრამებისადმი დამოკიდებულებაც - მუზეუმები საზოგადოებას სთავაზობენ ყველა ასაკისა და სოციალური ფენისათვის განკუთვნილ მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციუმის განათლებასა და კომუნიკაციის პროცესში. ამიტომ მუზეუმის ურთიერთობა უნივერსიტეტებთან, კოლეჯებსა და სხვა ტიპის სასწავლებლებთან, წარმოადგენს მისი ინსტიტუციური კონტექსტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან განზომილებას.

საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში თანამედროვე მუზეუმი იყენებს მრავალწახნაგოვან შესაძლებლობებს: მოყოლებული სამუზეუმო კვლევებისათვის პროფესორთა მოწვევით, დამთავრებული სკოლის მოსწავლეთათვის ექსკურსიების ჩასატარებლად. თანამედროვე მუზეუმები მონაწილეობენ აგრეთვე სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის

ამაღლების პროგრამებში, რათა მოამზადონ ისინი მოსწავლეები-სათვის ექსკურსიების ჩასატარებლად.

ამ მიმართულებით მუზეუმი ინტენსიურად თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთანაც. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მუზეუმებსა და უნივერსიტეტებს შორის დადებულია ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც სტუდენტებს აქვთ უფლება მონაწილეობდნენ მუზეუმის კვლევებსა და გამოფენის ორგანიზებაში. მათთვის იგეგმება ვორქშოპები და სემინარები, ასევე სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამები. სტუდენტები ხდებიან ე. წ. „ვოლონტიორები“, მასპინძლობენ სკოლის მოსწავლეებს და უზიარებენ მათ სამუზეუმო გამოცდილებას, ახდენენ მუზეუმის პრეზენტაციას მოზარდთათვის გასაგებ და მისაღებ ენაზე.

მისასაღებელია, რომ მსგავსი პროგრამა უკანასკნელ ხანებში საქართველოს სინამდვილეშიც განხორციელდა. მაგალითად, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გააფორმა ხელშეკრულებები რამდენიმე უნივერსიტეტთან, მათ შორის, „საქართველოს უნივერსიტეტთან“, რის შედეგადაც სტუდენტები რამდენჯერმე აქტიურად ჩაერთვნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის აქტივობებში: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბაკალავრები მონაწილეობდნენ გამოფენის („ევოლუციური გენდერი“) ორგანიზებაში, ატარებდნენ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებს სკოლის მოსწავლეთათვის, მონაწილეობდნენ აგრეთვე ღია ცის ქვეშ მუზეუმის სეზონის („გაზაფხულის დღესასწაული“) გახსნაში. ასეთი ტიპის ურთიერთთანამშრომლობა ხელს უწყობს სტუდენტთა შემოქმედებით განვითარებას, აუმჯობესებს მუზეუმის კომუნიკაციას საზოგადოების ახალგაზრდულ სემენტთან და ქმნის აუდიტორიის გაფართოების პოტენციას.

მსგავსი პროგრამების განხორციელებაში წამმართველი როლი ენიჭება მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტს, რომელიც მოზარდთა აუდიტორიასთან მუშაობის პროცესს ხშირად წარმართავს თამაშის ფორმით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. აღიარებული თეორიების თანახმად, მოზარდი უკეთ აღიქვამს, შეიმეცნებს და იმახსოვრებს სწორედ მაშინ, როდესაც უშუალოდ ეხება, ისმენს ან მონაწილეობს შემოქმედებით პროცესში (შვეიცარიელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე თამაშს „ბავშვის შრომას“ უწოდებს და ავითარებს აზრს, რომ თამაში ეხმარება ბავშვს შემეცნებით განვითარებაში). მოზარდის, როგორც სოციალურის ნაწილის მოთხოვნაა, ჩართული იყოს პროცესში და უშუალოდ თვითონაც შექმნას, აღმოაჩინოს ან დახატოს რაიმე მნიშვნელოვანი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ასეთი პროგრამები უკვე აპრობირებულია და მოწონებულიც (მაგალითად, აშშ-ს ერთ-ერთმა მუზეუმმა დაამზადა კოლექციების ასლები და ოთახში დამალა „განძი“,

რომელიც ე. წ. მეკობრეებს რუკის მიხედვით უნდა ეპოვათ. ინფორმაციის ამგვარად მიწოდებამ ბავშვები ძალზე დააინტერესა და ისინი გამაღებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი თავსატეხი ამოეხსნათ და „განძი“ მოეძიებინათ). როგორც ჩანს, ბავშვი თამაშში ეცნობა და სწავლობს საკუთარ შესაძლებლობებს, ცალკეულ ქვევებს, სოციალურ როლებს, იძენს გარკვეულ გამოცდილებას. აქ უკვე ამკარაა, რომ უსაფრთხო სიტუაცია, დადებითი ემოციები და თავისუფალი ქმედება ხელს უწყობს მიღებული ინფორმაციის შემოქმედებით გადამუშავებას. იუგოსლაველი ფსიქოლოგები, რომლებმაც სასკოლო რეფორმა შეიმუშავეს, წერდნენ: „სკოლის ნაცვლად, რომელიც მხოლოდ გადასცემს გარკვეული საგნების ცოდნას, ხოლო მოსწავლეს ტოვებს პასიური მიმღების როლში, ჩვენ გვჭირდება ახალი, აქტიური სკოლა, რომელიც მოსწავლეს განიხილავს, როგორც პროცესის აქტიურ მონაწილეს“. სწორედ ამ „აქტიური სკოლის“ მოსწავლე და „პროცესის“ მონაწილე უნდა იყოს მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოზარდი. მან მუზეუმი უნდა აღიქვას გარემოდ, სადაც სრულფასოვნად და მნიშვნელოვნად იგრძნობს თავს თანატოლებთან ერთად.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის II ნახევარი ხასიათდება, როგორც დიდი სოციალური რეფორმების დასაწყისი ევროპასა და აშშ-ში. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საზოგადოების მიერ მეტი ტოლერანტობის გამოვლენა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ, ღიად იწყება საუბრები ამ ადამიანთა მძიმე ყოფაზე, არასწორ მკურნალობასა და მათზე ძალადობაზე. როგორც წესი, ადამიანთა კატეგორიზაცია სოციუმში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს და ადამიანები ერთმანეთს სხვადასხვა კატეგორიებს აკუთვნებენ (მდიდარი, ღარიბი, თეთრკანიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა).

დეინსტიტუციონალიზმის პროცესის ხელშესაწყობად აუცილებელია, რომ მუზეუმმა საზოგადოების ნებისმიერ წევრს - განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, სტუდენტებს, მოზრდილებსა თუ ხანდაზმულებს მისცეს არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების შესაძლებლობა, შესთავაზოს მათ სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, რაც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. საზღვარგარეთის მუზეუმებში ასეთი პროგრამები მრავლადაა და განსაკუთრებულ ხელშეწყობას იღებს როგორც სხვადასხვა ფონდებიდან, ასევე სახელმწიფო სექტორიდანაც (მაგალითად, მელბურნში, ვიქტორიას მუზეუმმა მოაწყო მოძრავი გამოფენა, რომელიც ფოკუსირებული იყო მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ხანდაზმულ მოქალაქეებზე. მუზეუმის მიერ შემოთავაზებულმა პროგრამამ - „რეცეპტები

მეხსიერებისათვის“, მალე გაითქვა სახელი და შესაბამისად, აქტიურად აითვისა სოციუმის ეს სეგმენტიც).

დღეისათვის უკვე ნათელია, რომ მუზეუმს გააჩნია შესაძლებლობა - აითვისოს საზოგადოების ნებისმიერი სეგმენტი და შესთავაზოს მათ მომსახურების ფართო, განსხვავებული პაკეტი (ვორქშოპები, სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსები, ლექციები, ვიდეოები, კონცერტები, ოჯახებისთვის განკუთვნილი პროგრამები, ექსკურსიები და სხვ.), რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოების ნებისმიერი წევრის განათლებასა და ინტერკულტურული დიალოგის განვითარებაში. მუზეუმის დოკ-ის (დამთვალეირებელზე ორიენტირებული პროგრამები) პროგრამები გათვლილი უნდა იყოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებზე და სთავაზობდეს მათ უნიკალურ შესაძლებლობებს - გაეცნონ და შეისწავლონ ერთმანეთის კულტურა და ცხოვრების წესი, გააანალიზონ მათი ურთიერთშეხების ელემენტები და ითანამშროლონ ერთმანეთთან.

კარგა ხანია, მსოფლიოს წამყვანი მუზეუმები აქტიურად მუშაობენ იმ მიმართულებით, რომ მათ მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამები სრულად შეესაბამებოდეს მრავალეროვანი აუდიტორიის ინტერესებსა და მოთხოვნებს, რაც ყურადსაღები უნდა გახდეს საქართველოს მუზეუმებისთვისაც. მით უმეტეს, როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში 26 ეროვნების ადამიანი ცხოვრობს და მათ კულტურულ მრავალფეროვნებაზე დამყარებული ინტერკულტურული დიალოგი ხელს შეუწყობს განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანთა კონსტრუქციულ ურთიერთობებს და მშვიდობიან თანაცხოვრებას.

## Role of Museum in Development of Society

*Kovziashvili Nino*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Museum (literal translation - “Shrine of the Muses”) was considered a long time since as the most important destination for keeping of unique cultural heritage, but its importance had been changing for years in accordance with function of museum what was expressed with intensification of museum role in communication and education of society.

Obviously, the museum is complex cultural institution at present working on the protection of tangible cultural heritage and on definition of its significance.

Recently, among six main functions (collection completion, registration, protection, research, interpretation and educational activities) of modern museum the special emphasis is given to educational activities, which is focused on various social groups and largely determines both state and private museums missions and tendencies.

In almost all big or small cities of contemporary world thousands of different type museums are, whose work and missions are different, but regardless of profile and legal subordination, they are united with the attitude to educational programs together with management principles - museums offer public various educational programs for all age and social class and they play an important role in educational and communication process of society. That's why the museum's relationship with universities, colleges and with other educational institutions is more important in institutional context. In USA and in European countries museums and universities have concluded agreements, by which students have rights to participate in museum studies and in exhibitions organization. Workshops, seminars and various educational programs are planned for them. Students become so-called "volunteers", who host schoolchildren and share museum experience with them, make presentations in understandable and acceptable language to adults.

It's good that similar programs were implemented in Georgia as well. E.g. Georgian National Museum has signed contracts with several universities, including University of Georgia. As a result students have actively been involved in activities of GNM, they have participated in organizing of exhibitions ("Evolutionary Gender"), have conducted various educational programs for schoolchildren, also took part in season opening in Open Air Museum ("Spring holiday"). This kind of cooperation contributes development of students' creativity, improves museum communication with the youth segment of community and forms potential for audience expansion.

In realization of such programs education department plays the important role. It works on the youth audience through the important *game*. According to accepted theories, teenager better understands, cognizes and remembers while directly is connected, hears or participates in the creative process (Swiss psychologist Jean Piaget names the game as "Child's labour", makes sense that game helps the child in cognitive development). In many countries such programs have been approved and endorsed as well (e.g. one museum in USA made copies of collections and hid "treasure" in the room, which had to be found by so-called pirates with map). It seems that the children learn their own opportunities, individual behaviours, social roles, gaining some experience. There is clear that the safe situation, positive emotions and free actions helps in creative processing of information. Yugoslavian psychologists who have worked on school reform, have written: "We need a new, active school, what will concern the pupil as active participant in the process instead of school, what only transmits the knowledge on particular subjects, and the pupil has only role of passive recipient." Schoolchild of this "Active school" and participant of "Process" should be involved in museum's educational program. He must perceive the museum environment, where will feel as valuable and important together with his peers.

It is known that II half of twentieth century is characterized as the beginning of great social reforms in Europe and in the United States. This period is connected to revealing of more tolerance towards disabled people, began open talks about their hard life, the wrong care and violence. As a rule, human categorization in society is

ordinary and people each other concern to different categories (rich, poor, white, disabled, etc.).

To facilitate deinstitutionalization process the museum has to give the opportunity of informal education and self-education to any member of society: pupils, students, adults or elders, to offer them special educational service, which is one of the objectives in inclusive education. In foreign museums such programs are numerous and get special encouragement both from various funds and state sector as well.

Nowadays it is already clear that museum has opportunity to cover any segment of public and to offer them services a wide, diverse package (workshops, various training courses, lectures, films, concerts, family programs, excursions etc..), which is significant contribution to society's education and in development of intercultural dialogue. Museum's visitor oriented programs should be designed for different ethnic groups and offered them unique opportunity to get acquainted with each other's culture and life, to analyze their mutual elements and to collaborate with each other.

A long time since the world's leading museums are actively working in the direction that their designed educational programmes have to be concerned to the multiethnic audience interests and needs, which should become noteworthy for Georgian museums as well. Moreover, as we know in our country 26 nationalities live and intercultural dialogue based on their cultural diversity will facilitate constructive relations and peaceful co-existence of people with different identity.